JSC ENERGO-PRO GEORGIA
24 Zurab Anjaparidze street
0186 Tbilisi, Georgia

სს „ენერგო-პრო ჯორჯია"
ზურაბ ანჯაფარიძის ქ.24
0186 თბილისი, საქართველო

50019855
სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო
გაყიდვების მხარდაჭერის სამსახურის უფროსს
ბატონ ირაკლი ჩიდრაშვილს
მის.: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 49ა

ბატონო ირაკლი,

თქვენი 2024 წლის 24 იანვრის №6/3437 წერილის პასუხად, რომელიც ეხება თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სოფელ კვახჭირში მდებარე 35631 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ 33.01.36.639) პრივატიზების საკითხს, გაცნობებთ, რომ წერილში მითითებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებულია სს „ენერგო-პრო ჯორჯია"-ს კუთვნილი 35 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი. შესაბამისად, ნაკვეთი ხვდება მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის დაცვის ზონაში. ,,ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №366 დადგენილების მე-3 მუხლის თანახმად, 35 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზისთვის გათვალისწინებულია 15 მეტრიანი დაცვითი ზონა ხაზის ორივე მხარეს გადაუხრელ მდგომარეობაში მყოფი განაპირა სადენებიდან. აღნიშნული დადგენილებით იკრძალება ნებისმიერი ქმედება (მათ შორის შენობა-ნაგებობების მშენებლობა), რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს ელექტრული ქსელის ხაზობრივი ნაგებობის ნორმალური ფუნქციონირების მოშლა და ელექტრული ქსელების ხაზობრივ ნაგებობებთან მისასვლელი გზების ლიკვიდირება ან ჩახერგვა, თუ არ არსებობს ალტერნატიული მისასვლელი (მისასვლელი გზა უნდა იყოს არანაკლებ 3 მეტრი სიგანის) და შესაბამისი მიწის ნაკვეთის მესაკუთრე/მოსარგებლე, განურჩევლად ფორმისა, ვალდებულია უზრუნველყოს ზემოაღნიშნული ნორმატიული შეზღუდვების დაცვა, რაც არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, განსაკუთრებით პრობლემურია კერძო მესაკუთრეების/მოსარგებლეების შემთხვევაში.

ელექტროგადამცემი ქსელის უსაფრთხო და გამართული ექსპლოატაციის მიზნებიდან გამომდინარე, კომპანიისთვის კატეგორიულად მიუღებელია ელ. გადამცემი ხაზის დაცვის ზონაში მოხვედრილი მიწის ფართობის განკარგვა. გთხოვთ, გათვალისწინებულ იქნეს აღნიშნული გარემოებები და წერილში მითითებული უძრავი ქონების პრივატიზება განხორციელდეს ელექტროგადამცემი ხაზის დაცვის ზონაში მოხვედრილი მიწის ფართობის გარეშე და მისასვლელი გზის სავალდებულო უზრუნველყოფით. ამასთან ერთად აუცილებელია, მისასვლელი გზის დეტალური პირობები შეთანხმებულ იქნეს სს „ენერგო-პრო ჯორჯიასთან".

პატივისცემით,

david kharshiladze

Digitally signed by david kharshiladze
Date: 2024.02.07 16:29:34 +04'00'

დავით ხარშილაძე
განვითარების მენეჯერი

შემსრ: თორნიკე ხარაიშვილი/ტელ: 577 35 05 72